

F-171
1987



ISSN 0206-2674

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კ რ ე ბ უ ლ ი

3

ს ბ ო რ ნ ი კ

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ МИНИСТЕРСТВА
ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

რედაქტორი ზ. ალადაშვილი
Редактор З. Аладашвили

ტექრედაქტორი ა. ბაბურაძე
კორექტორები: ი. დოლიძე,
ბ. დვალისხვილი

Техредактор А. БАКУРАДЗЕ
Корректоры Л. ДОЛИДЗЕ,
Б. ДВАЛИШВИЛИ

გადაეცა ასაწყობად 3/III-87 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/III-87 წ.;
ანაწყობის ზომა $6\frac{1}{4} \times 9$; ქაღალდის ზომა 60×84 ; საბეჭდი თაბახი 7,25;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.
შეკვეთა № 153 უფ 09569 ტირაჟი 6000

უფასო

ბაქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიდის ქ. № 7
Центрграфия Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7



1995-7

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიების დადგენილება

რესპუბლიკის სახალხო განათლების დაწესებულებებში სახალხო განათლების კანონის ახალი რედაქციის შესწავლისა და პროპაგანდის ორგანიზაციის შესახებ
19 თებერვალი, 1987 წელი

კოლეგია აღნიშნავს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მიღებასთან და პარტიისა და მთავრობის მიერ რეფორმის კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული დადგენილებების შუქზე შეტანილია ცვლილებები და დამატებანი ამ სფეროში მოქმედ კანონმდებლობაში. შექმნილია შესაბამისი იურიდიული ბაზა სასკოლო რეფორმის წარმატებით განსახორციელებლად.

1986 წლის 27 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების ახალი რედაქცია, რამაც მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებები გამოიწვია.

შესაბამისმა ცვლილებებმა გამოხატულება ჰპოვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონსა და რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები და საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონი სახალხო განათლების სისტემის სრულყოფისათვის ნორმატიული წესრიგით გამაგრებული მთელი მიზანმიმართული მუშაობის ლოგიკური შედეგია და აქტიურად შეუწყობს ხელს განვითარებული, შემოქმედებითად მოაზროვნე და ღრმა ცოდნით შეიარაღებული ახალგაზრდობის მომზადებას, იმ პირობით უფლებებისა და ინტერესების დაცვას, რომლებიც აღმზრდელობით და სასწავლო პროცესში იღებენ მონაწილეობას.

ითვალისწინებენ რა სახალხო განათლების მუშაკების, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეების მიერ სახალხო განათლების შესახებ კანონის ახალი რედაქციის ღრმა გააზრების მნიშვნელობას, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიებმა დაადგინეს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების სამმართველოს (ამხ. ნ. დლონტი) მიმდინარე წლის 1-ლ აპრილამდე რესპუბლიკის განათლების სისტემის

სსრ განათლების სამინისტროს

დაწესებულება უზრუნველყოს საქართველოს სსრ სახალხო ბის კანონის ტექსტით.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

— შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები ადგილებზე სახალხო განათლების კანონის ახალი რედაქციის პროპაგანდისა და განხილვისათვის;

— კანონის ძირითადი დებულებების, მათი პოლიტიკური და საერთო-სახალხო მნიშვნელობის ფართო განხილვის მიზნით, ჩაატარონ სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების მოსწავლეთა კოლექტივების შეკრებები;

— მოსწავლეებში სახალხო განათლების კანონის დებულებათა განხილვისას დაეყრდნონ პარტიისა და მთავრობის დოკუმენტების შესწავლისა და პროპაგანდის საქმეში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, მიერ დაგროვილ გამოცდილებას. აქტიურად გამოიყენონ ისეთი ფორმები, როგორცაა დისპუტები, ლექციები, საზოგადოებრივი კითხვები, შეხვედრები, კონფერენციები და სხვ.;

— სახალხო განათლების კანონის პროპაგანდა და განხილვა მოაწიონ შრომით კოლექტივებში, მშობელთა საზოგადოებრიობებს შორის, ოჯახისა და სკოლის ურთიერთხელშეწყობ საბჭოებზე, მშობელთა საზოგადოებებზე, კომიტეტებზე და საზოგადოებრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოებზე დაყრდნობით, აქტიურად გამოიყენონ ამ მიმართებით მშობელთა პედაგოგიზაციის სისტემა;

— სახალხო განათლების კანონის განხილვისა და პროპაგანდისათვის წარმართონ მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მთელი პროცესის განვითარებისა და სრულყოფის რეალიზაციის, საფუძველზე სკკპ და საქართველოს კპ 27-ე ყრილობების დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

3. იუსტიციის ორგანოებმა, სასამართლოებმა აუცილებელი პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ ადგილებზე სახალხო განათლების დაწესებულებებს სახალხო განათლების კანონმდებლობის განსახილველი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

4. რესპუბლიკის პედაგოგიური ბეჭდვითი ორგანოების რედაქციებმა გააშუქონ განათლების სისტემაში სახალხო განათლების კანონის ახალი რედაქციის პროპაგანდისა და შესწავლის მიმდინარეობა.

5. ფართო პროპაგანდა გაუწიონ სახალხო განათლების კანონმდებ-



ლობას მასობრივი ინფორმაციების საშუალებებით, უზრუნველყოფს მათი თემაზე თვალსაჩინო მასალის შემუშავება (ამხ. გ. მიქანაძე).

6. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე დაევალოს განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა) და იუსტიციის სამინისტროს უფლებრივი პროპაგანდის სამმართველოს (ამხ. გ. მიქანაძე).

7. აღნიშნული დადგენილება დაეგზავნოთ: აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლებისა და იუსტიციის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის სახალხო განათლებისა და იუსტიციის განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის სახალხო განათლების დაწესებულებებსა და სახალხო სასამართლოებს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ნ. ვახტანგაძე

საქართველოს სსრ იუსტიციის
მინისტრი ბ. შუშანავაძე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
კ ა ნ ო ნ ი

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის
ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით სახალხო განათლების
თაობაზე საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა
შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს „სახალხო განათლების შესახებ“ საქარ-
თველოს სსრ 1975 წლის 28 ივნისის კანონში (საქართველოს სსრ უმაღ-
ლესი საბჭოს უწყებები, 1975 წ., № 6, მუხ. 139; 1979 წ., № 13,
მუხ. 350) „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რე-
ფორმის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით სახალხო განათ-
ლების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონ-
მდებლობის საფუძვლებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავ-
შირის 1985 წლის 27 ნოემბრის კანონიდან გამომდინარე ცვლილება-
ნი და დამატებანი და დამტკიცდეს საქართველოს სსრ აღნიშნული კა-
ნონის ახალი რედაქცია.

მუხლი 2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრე-
ზიდიუმს განსაზღვროს სახალხო განათლების შესახებ საქართველოს
სსრ კანონის 26-ე მუხლის გამოყენების წესი.

მუხლი 3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუ-
საბამოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებები სახალხო
განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონის ახალ რედაქციას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. ზილაშვილი**,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი **თ. ლაშქარაშვილი**.

თბილისი
1986 წლის 29 ნოემბერი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კ ა ნ ო ნ ი

სახალხო განათლების შესახებ

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ შექმნა ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობები. მოკლე ისტორიულ პერიოდში საბჭოთა საზოგადოების სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში დამკვიდრდა სოციალისტური იდეოლოგია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით წყდება ახალი ადამიანის — კომუნისტის აქტიური მშენებლის — ჩამოყალიბების ამოცანა. კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეიქმნა სახალხო განათლების ჭეშმარიტად დემოკრატიული სისტემა. თანამიმდევრულად ხორციელდება ლენინური იდეები სახალხო განათლებისა და კომუნისტური აღზრდის შესახებ.

სოციალიზმის გამარჯვებამ სსრ კავშირში, რომლის შემადგენლობაშიც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, უზრუნველყო ქვეყნის სწრაფი და ყოველმხრივი განვითარება, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის, განათლებისა და კულტურის დონის განუზრელი ამაღლება, შესაძლებელი გახდა ბავშვთა სკოლამდელი აღზრდისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა, ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების თანამიმდევრულად განხორციელება, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართოდ განვითარება.

საბჭოთა სახელმწიფოში ყველა მოქალაქეს აქვს განათლების მიღების რეალური შესაძლებლობა, მათ ეძლევათ პროფესიის, საქმიანობისა და სამუშაოს სახეობის არჩევის უფლება მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადების, განათლების შესაბამისად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

სსრ კავშირში სახალხო განათლების მიზანია სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საფუძველზე კომუნისმისაკენ საბჭოთა საზოგადოების შემდგომი სვლის პირობებში მოამზადოს დიდად განათლებული, შემოქმედებითად მოაზროვნე, ღრმა ცოდნით აღჭურვილი, ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებული მოქალაქენი, კომუნისმისათვის მტკიცე მებრძოლნი, რომლებიც აღზრდილი იქნებიან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებზე, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი შეუწყნარებლობის, სამშობლოს სიყვარუ-



ლის, სოციალისტური სამშობლოს მოქალაქეობისათვის სწავლების ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების, პასუხისმგებლობის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის, სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საბჭოთა კანონების დაცვის, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილენი.

თანამედროვე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდა თაობის სწავლებისა და აღზრდის ხარისხის ამაღლებას, კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, შრომისათვის მომზადების ძირულ გაუმჯობესებას, ქვეყანაში საყოველთაო პროფესიული განათლების თანდათანობით შემოღებას, კომუნისტური მშენებლობის ყველა უბნის კვალიფიციური მუშათა კადრებითა და სპეციალისტებით უზრუნველყოფას, მათი პროფესიული დონის დღენიადაგ ამაღლებას. ამ დიდი და პასუხსაგები ამოცანების წარმატებით გადაწყვეტამ ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების უმაღლესი მსოფლიო დონის მიღწევას, საბჭოთა ადამიანების სულიერ მოთხოვნილებათა განვითარებასა და უფრო სრულად დაკმაყოფილებას, სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფას.

ჩვენს ქვეყანაში განათლება ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო საქმეა. სახელმწიფო, ოჯახი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები ერთობლივი მეცადინეობით უზრუნველყოფენ მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდასა და განათლებას. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი განეკუთვნებათ პედაგოგიურ მუშაკებს, რომელთა საქმიანობას საფუძვლად უდევს იდეური რწმენა, თავიანთი პროფესიული და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება, პედაგოგიური ოსტატობა, ერუდიცია და კულტურა. მასწავლებლის, აღმზრდელის, სხვა პედაგოგიური მუშაკების შრომა კეთილშობილური და საპატიო საქმეა. ისინი აყალიბებენ ნორჩი პიროვნების სულიერ სამყაროს, საზოგადოება მათ ანღობს ყველაზე ძვირფასს — ბავშვებს, ახალგაზრდობას.

სახალხო განათლების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოთა მეცნიერებას, რომლის მიღწევები ფართოდ გამოიყენება ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის, როგორც საზოგადოების მთავარი საწარმოო ძალისა და უდიდესი ფასეულობის, ჩამოყალიბებაში.

საბჭოთა სახალხო განათლების კანონმდებლობა აქტიურად უნდა ემსახურებოდეს ქვეყანაში სახალხო განათლების საქმის სრულყოფას.

ფას, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამ დარგში სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.

პ ა რ ი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საბჭოთა სახალხო განათლების კანონმდებლობის ამოცანები

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონმდებლობა აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს სახალხო განათლების დარგში იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს საბჭოთა ადამიანების საჭიროებანი და სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნილებანი ბავშვებისა და ახალგაზრდობის, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქეების, კომუნისმის აქტიური მშენებლების, განათლებასა და კომუნისტურ აღზრდაზე, ჩამოყალიბდეს ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება, უზრუნველყოფილ იქნეს სახალხო მეურნეობა კვალიფიციური მუშათა კადრებითა და სპეციალისტებით.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონმდებლობა

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონმდებლობა შედგება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის სახალხო განათლების კანონმდებლობის სხვა აქტების, ამ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან.

მუხლი 3. საქართველოს სსრ მოქალაქეთა განათლების უფლება

საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს ყველა სახეობის უფასო განათლება, ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელება, ცხოვრებასთან, წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართოდ განვითარება; დაუსწრებელი და საღამოს განათლების განვითარება; მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიებისა და შეღავათების მიცემა; სასკოლო სა-

ხელმძღვანელოების უფასო გაცემა; სკოლაში დედაენაზე სწავლება შესაძლებლობა; თვითგანათლების პრობლების შექმნა.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ეწყობა უფასო პროფესიული სწავლება, კადრების შრომითი კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება.

მუხლი 4. სახალხო განათლების ძირითადი პრინციპები საქართველოს სს რესპუბლიკაში

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებს შესაბამისად საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო განათლების ძირითადი პრინციპებია:

1) განათლების მიღებაში სსრ კავშირის ყველა მოქალაქის თანასწორობა წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა ვითარებათა მიუხედავად;

2) ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლება;

3) ახალგაზრდობის პროფესიული განათლება;

4) ყველა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ხასიათი;

5) ყველა სახეობის განათლების უსასყიდლობა, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა და მოსწავლეთა ნაწილის სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე შენახვა, მოსწავლეთა და სტუდენტთათვის სტიპენდიებისა და შეღავათების მიცემა, სასკოლო სახელმძღვანელოების უფასო გაცემა, სხვადასხვაგვარი მატერიალური დახმარების გაწევა;


6) სწავლების ენის არჩევის თავისუფლება: სწავლება დედაენაზე ან სსრ კავშირის სხვა ხალხის ენაზე;

7) სახალხო განათლების სისტემის ერთიანობა და ყველა ტიპის სასწავლებლებში განათლების შემდგომადობა, რაც უზრუნველყოფს სწავლების დაბალი საფეხურიდან უმაღლეს საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობას;

8) სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის ერთიანობა; სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების, ოჯახის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების თანამშრომლობა ბავშვებისა და ახალგაზრდობის აღზრდაში;

9) მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, საზოგადოებრივად სასარგებლო, ნაყოფიერ შრომასთან; პოლიტექნიკური, შრომითი აღზრდა და სწავლება;

10) განათლების მეცნიერული ხასიათი, მისი მუდმივი სრულყოფა მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის უახლეს მიღწევათა საფუძველზე;



11) განათლებისა და აღზრდის ჰუმანისტური, მაღალზნებობრივი ხასიათი;

12) განათლების საერო ხასიათი, რაც გამორიცხავს რელიგიის გავლენას;

13) ორივე სქესის პირთა ერთად სწავლება.
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური, უმაღლესი სასწავლებლები და სხვა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებანი, ახორციელებენ რა მათთვის დაკისრებულ ამოცანებს, დღენიდაგ სრულყოფენ ბავშვთა და ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის ხარისხს სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 5. სახალხო განათლების სისტემა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ რესპუბლიკაში არსებობს და იხვეწება სახალხო განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ მომზადებას, ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, სულიერ და ფიზიკურ განვითარებას, ამზადებს მას შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სახალხო განათლების სისტემა მოიცავს:

- სკოლამდელ აღზრდას;
- ზოგად საშუალო განათლებას;
- პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას;
- უმაღლეს განათლებას;
- სკოლისგარეშე აღზრდას.

მუხლი 6. სსრ კავშირის კომპეტენცია სახალხო განათლების დარგში

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებზე შესაბამისად სახალხო განათლების დარგში სსრ კავშირის გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით განეკუთვნება:

- 1) სსრ კავშირში სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელობისა და მართვის სისტემის საერთო პრინციპების დადგენა;
- 2) სახალხო განათლების განვითარების საერთო-საკავშირო მუშაობისა და სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციურ მუშათა კადრებისა და სპეციალისტთა მომზადების გეგმების დადგენა;
- 3) სსრ კავშირის სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელობა, სახალხო განათლების სისტემის საკავშირო დაქვემდებარების სასწავლო-აღმზრდელითი, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მართვა;
- 4) სასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებათა ტიპების დადგენა, მათი დებულებების (წესდებების) დამტკიცება; სასწავლებლებში მიღების ასაკის დადგენა, მათში სწავლების ვადების განსაზღვრა;
- 5) საკავშირო დაქვემდებარების უმაღლესი სასწავლებლების, აგრეთვე საშუალო სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ორგანიზაცია, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
- 6) სასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების მუშაკთა შტატების განსაზღვრა, მათი შრომის ნორმირებისა და ანაზღაურების წესის დადგენა;
- 7) ყველა სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულების სასწავლო-მეთოდური ხელმძღვანელობის საერთო პრინციპების დადგენა, სასწავლო გეგმების დამტკიცება და სასწავლო პროგრამების დამტკიცების წესის განსაზღვრა;
8. სასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზის განვითარების საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა;
- 9) სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულებების მოსწავლეთა და აღსაზრდელთა მატერიალური დახმარების სახეობათა და ნორმათა დადგენა;
- 10) სახელმწიფო კონტროლი სახალხო განათლების დარგში და მისი განხორციელების წესის დადგენა;
- 11) სახალხო განათლების დარგში სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშების ერთიანი სისტემის დადგენა;
- 12) სახალხო განათლების საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სხვა საკითხებს გადაწყვეტა სსრ კავშირის კონსტიტუციის, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებისა და სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტების შესაბამისად.

**მუხლი 7. საქართველოს სსრ კომპეტენცია სახალხო
განათლების დარგში**



სახალხო განათლების დარგში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით განეკუთვნება:

1) სახალხო განათლების განვითარების რესპუბლიკური გეგმებისა და სახალხო მეურნეობისათვის, კვალიფიციური მუშათა კადრებისა და სპეციალისტთა მომზადების გეგმების დადგენა;

2) საქართველოს სსრ სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელობა; სახალხო განათლების სისტემის რესპუბლიკური დაქვემდებარების სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მართვა;

3) რესპუბლიკური დაქვემდებარების საშუალო სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ორგანიზაცია, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4) რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების სასწავლო-მეთოდური ხელმძღვანელობის განხორციელება დადგენილი წესით;

5) რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სახალხო განათლების დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზის განვითარების რესპუბლიკური გეგმების დადგენა;

6) ცალკეული დისციპლინების მიხედვით ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების დამტკიცება დადგენილი წესით;

7) პედაგოგიკურ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებისა და მოპოვებული მიღწევების პრაქტიკაში გამოყენების რესპუბლიკური გეგმების დადგენა;

8) სახელმწიფო კონტროლის განხორციელება სასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებათა საქმიანობისადმი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე;

9) სახალხო განათლების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დადგენა და მინიჭება;

10) სახალხო განათლების სხვა საკითხების გადაწყვეტა, თუ ისინი არ განეკუთვნებიან სსრ კავშირის კომპეტენციას.

**მუხლი 8. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომპეტენცია
სახალხო განათლების დარგში**

სახალხო განათლების დარგში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ გამგებლობას მათი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით განეკუთვნება:



1) სახალხო განათლების განვითარების რესპუბლიკური (აფხაზეთის ახსრ, აჭარის ახსრ) გეგმის დადგენა;

2) ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელობა;

3) რესპუბლიკური (აფხაზეთის ახსრ, აჭარის ახსრ) დაქვემდებარების სახალხო განათლების სისტემის სასწავლო-აღმზრდელითი, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მართვა;

4) სახელმწიფო კონტროლის განხორციელება სასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებათა საქმიანობისადმი შესაბამისად აფხაზეთის ახსრ, აჭარის ახსრ ტერიტორიაზე;

5) სახალხო განათლების სხვა საკითხების გადაწყვეტა, თუ ისინი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კომპეტენციას არ განეკუთვნება.

მუხლი 9. სახალხო განათლების ხელმძღვანელობა საქართველოს სს რესპუბლიკაში

სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ახსრ და აჭარის ახსრ კონსტიტუციების შესაბამისად საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო განათლებას ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ახსრ და აჭარის ახსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო მართვის ორგანოები — სსრ კავშირის განათლების სამინისტრო, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო — ახორციელებენ ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას სახალხო განათლების დარგში, სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური მუშათა კადრებისა და სპეციალისტთა მომზადებაში. სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო მართვის ორგანოები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მათ შესახებ დამტკიცებულ დებულებათა შესაბამისად, ზოგად საშუალო, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს განათლებას, სკოლამდელ და სკოლისგარეშე აღზრდას საქართველოს სს რესპუბლიკაში, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ მათ სისტემებში შემავალი საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების მეშვეობით და მართავენ უშუალოდ მათდამი დაქვემდებარებულ სასწავლო-აღმზრდელითი, სამეცნიერო-კვლევით და სხვა დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს.

სხვა სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები, კო-
ორეაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცენტრული
ორგანოები ხელმძღვანელობენ თავიანთ საქვეუწყებო სასწავლო-
აღმზრდელობით დაწესებულებებს.

სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო მართვის ორგა-
ნოები შეიმუშავებენ სასწავლო, აღმზრდელობითი, მეთოდური, სამე-
ცნიერო მუშაობის ზოგად დებულებებს, რომლებიც სავალდებულოა
სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებისათვის, მათი უწყებ-
რივი დაქვემდებარების მიუხედავად; აგრეთვე სამინისტროების, სა-
ხელმწიფო კომიტეტებისა და უწყებებისათვის, რომელთა გამგებლო-
ბაშიც ეს სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებია, აკონტრო-
ლებენ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების საქმიანობას,
სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ სხვა უფ-
ლებამოსილებას სახალხო განათლების ხელმძღვანელობაში.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მართვის
ორგანოები — საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქარ-
თველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კო-
მიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური გა-
ნათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ
მათ შესახებ დამტკიცებულ დებულებათა შესაბამისად, ზოგად სა-
შუალო, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს
განათლებას, სკოლამდელ და სკოლისგარეშე აღზრდას, როგორც წე-
სი, ხელმძღვანელობენ მათ სისტემებში შემავალი აფხაზეთის ასსრ
და აჭარის ასსრ სამინისტროებისა და რესპუბლიკური სამმართველოე-
ბის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა
საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შესაბამისი სამმართველოებისა
და განყოფილებების და სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო,
ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შესა-
ბამისი განყოფილებების მეშვეობით, მართავენ უშუალოდ მათდამი
დაქვემდებარებულ სასწავლო-აღმზრდელობით, სამეცნიერო-კვლე-
ვითსა და სხვა დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს.

**10. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების
უფლებამოსილებანი სახალხო განათლების
ხელმძღვანელობის დარგში**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოე-
ბის უფლებამოსილებას სახალხო განათლების ხელმძღვანელობის
დარგში განსაზღვრავს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის
ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობა.

სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ
კომიტეტები:

ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებულ სასწავლო-კვლევით
დებლობით დაწესებულებებს, იღებენ ზომებს მათი ქსელის განვითარებისა და სწორი განლაგებისათვის, ამ დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, აგრეთვე საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებული სასწავლებლების შენობათა სასწავლო წლის დაწყებამდე ამოწმებისათვის;

უზრუნველყოფენ საყოველთაო საშუალო განათლებას და ახალგაზრდობის საყოველთაო პროფესიულ განათლებაზე. გადასვლას: ხელმძღვანელობენ სკოლამდელ და სკოლისგარეშე აღზრდას; ხელს უწყობენ ოჯახს ბავშვთა და მოზარდთა აღზრდაში;

ეხმარებიან სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებს პედაგოგთა კადრების შერჩევასა და განაწილებაში;

ორგანიზაციასა და კონტროლს უწევენ: მოსწავლეებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოთა უფასოდ გაცემას, უფასო სამედიცინო უზრუნველყოფას, საზოგადოებრივ კვებას, აგრეთვე სკოლების, საბავშვო სკოლამდელი, სკოლისგარეშე და სხვა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების სამეურნეო უზრუნველყოფას;

იღებენ ზომებს ცხოვრებასთან, წარმოებასთან სწავლებისა და აღზრდის კავშირის განმტკიცებისათვის, დადგენილი წესით განსაზღვრავენ მოსწავლეთა შრომითი მომზადების პროფილებს; ორგანიზაციას უწევენ მათ შრომით სწავლებას სათანადო საწარმოო და სასწავლო-მატერიალურ ბაზაზე, კადრებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებს, აგრეთვე მოსწავლათა მიდრეკილებისა და უნარის გავალისწინებით; ორგანიზაციას უწევენ მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, ნაყოფიერ შრომას, რაც დაკავშირებულია სწავლებასა და შრომით აღზრდასთან, მუშაობას მათი პროფესიული ორიენტაციისათვის;

იღებენ ზომებს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებით დაკომპლექტების უზრუნველსაყოფად ამ სასწავლებლებში მათი მიღების გეგმების შესაბამისად, კონტროლს უწევენ ამ გეგმების შესრულებას; ხელს უწყობენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა შრომით მოწყობას საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამამთავრებელი ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის გეგმების შესაბამისად და ახალგაზრდა მუშათა და სპეციალისტთა კადრების დამკვიდრებას;

ეხმარებიან მუშაობაში საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებულ საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებს;



აღრიცხავენ სასკოლო ასაკის ბავშვებს;

დადგენილი წესით ანაწილებენ საყოველთაო სწავლების, ფონდს და კონტროლს უწევენ მის გამოყენებას;

კოორდინაციას უწევენ სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში;

სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ სხვა უფლებამოსილებას სახალხო განათლების ხელმძღვანელობაში.

მუხლი 11. სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა დაქვემდებარება

სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებანი ექვემდებარებიან სახალხო განათლების სახელმწიფო მართვის ორგანოებსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებს. ცალკეულ სახეობათა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებანი შეიძლება ექვემდებარებოდნენ კოლმეურნეობებს, სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

მუხლი 12. სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა გახსნის პირობები

სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები გაიხსნება დადგენილი წესით, მათზე მოთხოვნების გათვალისწინებით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაბამისი შენობები, სასწავლო და სხვა საჭირო მოწყობილობანი. თუ უზრუნველყოფილია პედაგოგიური (საინჟინრო-პედაგოგიური, სამეცნიერო-პედაგოგიური) კადრებით.

მუხლი 13. სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების ხელმძღვანელობა

სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებას ხელმძღვანელობს შესაბამისად გამგე, დირექტორი, რექტორი, რომელიც თავის მუშაობაში ეყრდნობა პედაგოგიურ კოლექტივსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

სასწავლო, აღმზრდელობითი, მეთოდური, სამეცნიერო მუშაობის საკითხების კოლევგიური განხილვის უზრუნველსაყოფად სასწავლო-

აღმზრდელით დაწესებულებაში პედაგოგიური მუშაკების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისა და საწარმოთა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებისა განიჭმნება პედაგოგიური საბჭო (უმალღესი სასწავლებლის საბჭო) და სხვა სახის სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულების საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები მონაწილეობენ მოსწავლეთა და სტუდენტთა სწავლების, აღზრდისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, აგრეთვე სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულების საქმიანობის სხვა საკითხების გადაწყვეტაში.

მუხლი 14. სახალხო განათლების მეცნიერული საფუძვლები საქართველოს სს რესპუბლიკაში

საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო განათლება ვითარდება და სრულყოფილი ხდება სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის მიღწევათა საფუძველზე მათი განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით, პედაგოგიური მეცნიერება შეიმუშავებს სახალხო განათლების პრობლემებს მეცნიერების სხვა დარგებთან ურთიერთკავშირში.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სათავო სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ეწევა კვლევა-ძიებას პედაგოგიური მეცნიერების დარგში და ახდენს მის კოორდინაციას, არის სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც თავის ამოცანებს ასრულებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, სხვა სამეცნიერო, აგრეთვე სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულებებთან ერთად.

უმალღესი, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური განათლების პრობლემებს აგრეთვე იკვლევენ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და უმალღესი სასწავლებლები.

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ერთად ორგანიზაციის უწყვეტ სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულებათა მუშაობაში მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის მიღწევების დანერგვას.

მუხლი 15. საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, მათი შრომითი კოლექტივების მონაწილეობა სახალხო განათლების განვითარებაში

სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, სხვა კოოპერაციული, პროფკავშირული, კომკავში-



რული ორგანიზაციები, შემოქმედებითი კავშირები, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ურად მონაწილეობენ სახალხო განათლების განვითარებაში, აგრეთვე მშრომელთა პროფესიულ სწავლებაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში, ეხმარებიან მუშებს, კოლმეურნეებსა და მოსამსახურეებს განათლების მიღებაში, ხელს უწყობენ ბავშვთა და ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი, სამართლებრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციას, სასწავლებელთა მუშაობას კვალიფიკაციური მუშათა კადრებისა და სპეციალისტების მოსამზადებლად.

საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივები მონაწილეობენ სახალხო განათლების განვითარებაში „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების, ამ კანონისა და კანონმდებლობის სხვა აქტების შესაბამისად.

მუხლი 16. მოსწავლეთა და სტუდენტთა სამართლებრივი აღზრდის ორგანიზაცია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, აგრეთვე საქართველოს სსრ სხვა სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, რომელთა დაქვემდებარებაშია სასწავლებლები, ორგანიზაციას უწყვენ მუშაობას მოსწავლეთა და სტუდენტთა სამართლებრივი აღზრდისათვის. აღნიშნული მუშაობა ტარდება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მონაწილეობით.

მუხლი 17. მოსწავლეთა და სტუდენტთა ჯანმრთელობის დაცვა

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად ყველა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს აუცილებელი პირობები მოსწავლეთა და სტუდენტთა ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. საქართველოს სსრ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში სასწავლო-შრომითი დატვირთვის დადგენილი ნორმების, რეჟიმის, სწავლის, დასვენების პირობების დაცვას და გამაჯანსაღებელ

ლონისძიებათა გატარებას საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით კონტროლს უწყევნ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები დაწესებულებები სახალხო განათლების სახელმწიფო მართვის ორგანოებთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად, რომელთა გამგებლობაშია ეს სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები.

მუხლი 18. მოქალაქეთა თვითგანათლება

მოქალაქეთა თვითგანათლების, მათი ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და კულტურული ღონის ამადლებისათვის ხელის შეწყობის მიზნით ეწყობა სახალხო უნივერსიტეტები, ლექტორიუმები, კურსები და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების სხვა საზოგადოებრივი ფორმები.

სახალხო განათლების ორგანოები და დაწესებულებები ეხმარებიან მოქალაქეებს თვითგანათლების ორგანიზაციაში.

მოქალაქეთა თვითგანათლებას, ხელს უწყობენ აგრეთვე კულტურის ორგანოები და დაწესებულებები, პრესა, ტელევიზია, რადიო და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებანი.

პ ა რ ი II

სკოლამდელი აღზრდა

მუხლი 19. საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის რაც შეიძლება ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფისა და ოჯახებისათვის საჭირო დახმარების გაწევის მიზნით გეგმავსომიერად ვითარდება საბავშვო ბავშვების, საბავშვო ბაღების, ზოგადი დანიშნულების საბავშვო ბავაბაღებისა და სხვა საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების ქსელი.

ფიზიკური ან გონებრივი განვითარების ნაკლის მქონე ბავშვების მიზანმიმართული აღზრდისათვის იქმნება სპეციალური დანიშნულების საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებები.

ბავშვებისათვის, რომელთაც ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროებათ, იხსნება სკოლამდელი გამაჯანსაღებელი სანატორიული დაწესებულებები.

მუხლი 20. საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა დებულება

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საბავშვო სკოლა-



დელი დაწესებულებები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სსრკ-ის შირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

მუხლი 21. სკოლამდელი აღზრდის ამოცანები

საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებები ოჯახთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებენ ბავშვთა ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებასა და აღზრდას, იცავენ და აკაჟებენ მათ ჯანმრთელობას, უზრუნველყოფენ ფიზიკურ და ესთეტიკურ აღზრდას, უვითარებენ ბავშვებს შემეცნებით ინტერესებსა და ნიჭს, უნერგავენ ბუნების, მშობლიური მხარის, სამშობლოს სიყვარულს, უფროსების პატივისცემას, სიკეთის, ამხანაგობასა და კოლექტივიზმს, სხვა მაღალზნებრივ თვისებებს, ქცევის კულტურას, შრომისმოყვარეობას, დამოუკიდებლობას. პირველდაწყებით პრაქტიკულ ჩვევებს, აჩვენებენ ორგანიზებულობასა და დისციპლინას, ამზადებენ სკოლაში სწავლისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ბავშვები იზრდებიან საბჭოთა სამშობლოს მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებებისა და მსოფლიოს ხალხების პატივისცემის სულისკვეთებით.

მუხლი 22. საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა ორგანიზაცია

საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებს ხსნიან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე მათი ნებაართვით სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მუხლი 23. საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგიური ხელმძღვანელობა

საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, პედაგოგიურ ხელმძღვანელობას უწევენ, პედაგოგიური მუშაკებით უზრუნველყოფენ სსრ კავშირის განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები და მათი ადგილობრივი ორგანოები.

მუხლი 24. საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა სამედიცინო მომსახურება

საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვებთან სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სანიტარიულ-ჰიგიენურ მუშაობას დადგენი-



ლი წესით ეწევიან სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები, მათი ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები. რომელთა გამგებლობაშია ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი.

საბავშვო სკოლმადელ დაწესებულებებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, მედიცინის მუშაკებით უზრუნველყოფენ ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი ორგანოები.

კ ა რ ი III

საყოველთაო საშუალო განათლება. პროფესიული განათლება

მუხლი 25. საყოველთაო საშუალო განათლება

მოსახლეობის განათლების, შეგნებისა და კულტურის დონის შემდგომი ამაღლების, ცხოვრების, შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ახალგაზრდობის მომზადების მიზნით საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ყველგან ხორციელდება ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლება სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად, კომუნისტური მშენებლობის პერსპექტივის გათვალისწინებით. საბჭოთა სახელმწიფო უქმნის მოზარდ თაობას საყოველთაო საშუალო განათლების საჭირო პირობებს.

საყოველთაო საშუალო განათლება ხორციელდება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. რომლებშიც საქართველოს სსრ რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია სწავლები-სა და აღზრდის ზუსტი შემდეგობა, ზოგადი საშუალო განათლების თავისი საფუძვლით ერთიანი შინაარსი და ერთიანი დონე. სასწავლებლებს, მათ პედაგოგიურ კოლექტივებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხისათვის.

საშუალო განათლების მიღება საქართველოს სსრ თითოეული ახალგაზრდა მოქალაქის მოვალეობაა.

მუხლი 26. პროფესიული განათლება

ახალგაზრდობის საყოველთაო პროფესიულ განათლებაზე თანამიმდევრული გადასვლის მიზნით ვითარდება და სრულყოფილი ხდება პროფესიული განათლება საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ, აგრეთვე საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში: საშუალო



ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პოლიტექნიკურ საფუძვლად ხორციელდება შრომითი სწავლება გარკვეული პროფესიის დასთან შესამები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად პროფესიას (სპეციალობას) დაუფლებულ პირთა ატესტაცია და მათთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

სასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული თანრიგები, კლასები, კატეგორიები, აგრეთვე კვალიფიკაცია (სპეციალობა) სავალდებულოა ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის.

მუხლი 27. სწავლების ენა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ისწავლონ დედაენაზე ან სსრ კავშირის სხვა ხალხის ენაზე. მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს უფლება აქვთ შეიღებოს სურვილისამებრ შეურჩიონ სკოლა, სადაც სწავლება შესაბამის ენაზეა გარდა იმ ენისა, რომელზეც მიმდინარეობს სწავლება, მოსწავლეებს სურვილისამებრ შეუძლიათ შეისწავლონ სსრ კავშირის სხვა ხალხის ენა.

სასწავლებლებში, სადაც სწავლება მიმდინარეობს არარუსულ ენაზე, დედაენასთან ერთად რუსული ენის შესასწავლად, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა ნებაყოფლობით მიიღეს ერებს შორის ურთიერთობის საშუალებად, იქმნება საჭირო პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ენების თავისუფლად დაუფლებას, ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების ერთიან დონეს საქართველოს სსრ მოსახლეობის ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

მსოფლიოს ხალხთა კულტურის უფრო ფართოდ გაცნობისა და პროფესიული ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობათა გაფართოების მიზნით სასწავლებლებში ხორციელდება აგრეთვე უცხო ენათა სწავლება.

კ ა რ ი IV

ზოგადი საშუალო განათლება

მუხლი 28. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა არის ერთიანი, შრომითი, პოლიტექნიკური სკოლა, რომელიც ახორციელებს ბავშვებისა და



ახალგაზრდობის ზოგად საშუალო განათლებასა და კომუნისტურ
ზრდას.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათ-
ლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საშუალო ზო-
გადსაგანმანათლებლო სკოლის ერთიანობას უზრუნველყოფს საქარ-
თველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე სასწავლო-აღმზრდელობითი პრო-
ცესის ორგანიზაციის პრინციპების ერთობა, ზოგადი საშუალო განათ-
ლების თავისი საფუძვლით ერთიანი შინაარსი და ერთიანი დონე სა-
ქართველოს სსრ მოსახლეობის ეროვნულ თავისებურებათა ყოველ-
მხრივი გათვალისწინებით.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ახორციელებს მოს-
წავლეთა შრომით აღზრდასა და სწავლებას საზოგადოებრივად სა-
სარგებლო, ნაყოფიერ შრომასთან შეხამებით.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში პოლიტექნიკური
სწავლება უზრუნველყოფილია მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი
პროცესის შინაარსითა და ორგანიზაციით, მოსწავლეთათვის თანამედ-
როვე წარმოების საფუძვლების თეორიული და პრაქტიკული გაცნო-
ბით.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა სწავ-
ლება და აღზრდა ხორციელდება სასწავლო მეცადინეობის, საზოგა-
დოებრივად სასარგებლო, ნაყოფიერი შრომის, მრავალფეროვანი
კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის პროცესში. სკოლაში სას-
წავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის ძირითადი ფორმაა
გაკვეთილი.

მუხლი 29. სკოლაში ბავშვთა სწავლების დაწყების ასაკი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათ-
ლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ბავშვთა სწავ-
ლება სკოლაში იწყება 6 წლის ასაკიდან. აღნიშნული ასაკიდან სწავ-
ლების შემოდების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 30. მოსამზადებელი კლასები

სკოლისათვის იმ ბავშვთა მომზადების მიზნით, რომლებიც დედა-
ენაზე არ ისწავლიან, ან რომლებიც საბავშვო სკოლამდელ დაწესებუ-
ლებებში არ იზრდებოდნენ, სკოლებში, როცა საჭიროა, იხსნება მო-
სამზადებელი კლასები საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგე-
ნილი წესით.

მუხლი 31. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდება



სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებზე შესაბამისად საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების საფუძვლებზე.

მუხლი 32. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მთავარი ამოცანები

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მთავარი ამოცანებია: ბავშვებისა და ახალგაზრდობის ზოგადი საშუალო განათლების განხორციელება სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მოსწავლეთა შეიარაღება მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა და მტკიცე ცოდნით, კომპიუტერული განათლების უზრუნველყოფა და ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკით სარგებლობის ჩვევების ჩანერგვა, ცოდნის დღენიადაგ სრულყოფისადმი მისწრაფების, მისი დამოუკიდებლად შევსებისა და პრაქტიკულად გამოყენების უნარის გამომუშავება;

მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, მათთვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, კომუნისტური რწმენის, სამშობლოს სიყვარულის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის, ქვეყნისა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების სწორი გაგების უნარის გამომუშავება;

მოსწავლეთა შრომითი აღზრდა და სწავლება, მათი პროფესიული ორიენტაცია საზოგადოებრივად სასარგებლო, ნაყოფიერ შრომასთან შეხამებით, რაც უზრუნველყოფს პროფესიის შეგნებულად არჩევას, აქტიური შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის მომზადება; ეკონომიკური აღზრდა;

მოსწავლეთათვის მალაზნეობრივი თვისებების, ჰუმანიზმის, ამხანაგობისა და კოლექტივიზმის, პასუხისმგებლობის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის, ქცევისა და ყოფა-ცხოვრების კულტურის, სოციალისტური საკუთრების, ბუნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების აღზრდა;

მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდა, საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის გამომუშავება, მათი დაცვის აუცილებლობის შეგნების ჩამოყალიბება;

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა, ცხოვრებაში, შრომასა და ხელოვნებაში მშვენიერების შექმნაში მონაწილეობის მოთხოვნებისა და უნარის განვითარება;

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა, მათი ჯანმრთელობის გასაძლიერებლად საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ახორციელებს რამდენიმე დაკისრებულ ამოცანებს, უზრუნველყოფს მოსწავლეთა ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას.

მუხლი 33. მოსწავლეთა შრომითი აღზრდა და სწავლება


შრომითი აღზრდა და სწავლება სკოლაში, რაც მოიცავს მოსწავლეთა სისტემატურ მონაწილეობას საზოგადოებრივად სასარგებლო, ნაყოფიერ შრომაში, ხორციელდება მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების, უნარის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით და საჭირო პირობების არსებობისას მთავრდება ერთ-ერთი მასობრივი პროფესიის დაუფლებით.

საზოგადოებრივად სასარგებლო, ნაყოფიერი შრომა, რომელიც ეწყობა მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის მიზნით, ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში, სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო და სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში, საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა სახელოსნოებში, საწარმოთა სასწავლო საამქროებში და უბნებზე, აგრეთვე მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში და სხვა ფორმით. ამავე მიზნით საზაფხულო არდადეგების პერიოდში ნებაყოფლობით საწყისებზე, მშობელთა თანხმობით, სკოლისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კონტროლით, მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სახალხო მეურნეობაში შეძლებისდაგვარ საზოგადოებრივად სასარგებლო, ნაყოფიერ შრომაში.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, ნაყოფიერი შრომის პირობები და ორგანიზაცია განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 34. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და საბაზო საწარმოების, ორგანიზაციების ურთიერთდა-მოკიდებულება

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ყოველ საშუალო და არასრულ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან მიმაგ-



რებულია საბაზო საწარმო, ორგანიზაცია, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და საბაზო საწარმოების, ორგანიზაციების ურთიერთმოკიდებულებას აწესრიგებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულება.

მუხლი 35. კლასგარეშე მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მთელ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესთან მჭიდრო კავშირით, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების, საზოგადოებრიობისა და მშობელთა აქტიური მონაწილეობით სწავლისაგან თავისუფალ დროს ტარდება კლასგარეშე მუშაობა: ეწყობა ფაქულტატიური მეცადინეობანი ცალკეული სასწავლო საგნების, ცოდნის დარგების გაღრმავებული შესწავლისათვის, წრეები, სექციები, სტუდიები, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, მუზეუმები, კლუბები, აგრეთვე გამოიყენება კლასგარეშე მუშაობის სხვა ფორმები: საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივები, კულტურის, სპორტის დაწესებულებები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, ნებაყოფლობითი საზოგადოებები, შემოქმედებითი კავშირები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხელს უწყობენ კლასგარეშე მუშაობას.

მუხლი 36. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

მოსწავლეთათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ოპტიმალური სასკოლო დარაიონება, სოფლად მოსწავლეთა უფასო მგზავრობა სკოლაში და სკოლიდან, სკოლასთან არსებული კეთილმოწყობილი ინტერნატები.

ადგილობრივი პირობების შესაბამისად ცალკე იქმნება დაწყებითი სკოლები I-IV კლასების შემადგენლობით, არასრული საშუალო სკოლები I-IX კლასების შემადგენლობით და საშუალო სკოლები I-XI კლასების შემადგენლობით, ამასთან შენარჩუნებულია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლების ყველა საფეხურის ერთიანობა და შემდგომადობა.

მუხლი 37. სოფლად მოსწავლეთა სკოლაში მიყვანისა და შინ წაყვანის უზრუნველყოფა

სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მონაწილეობით უზრუნველყოფენ სოფელში



მცხოვრები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ლარულ უფასო მიყვანას სკოლაში და შინ წაყვანას, რისთვისაც იყენებენ სამარშრუტო ავტობუსებს, საგარეუბნო და ადგილობრივ მატარებლებს. აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობების და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ტრანსპორტს, რომელიც სპეციალურად მოწყობილია ბავშვების სამგზავროდ.

მუხლი 38. საყოველთაო სწავლების ფონდი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში იქმნება საყოველთაო სწავლების ფონდი საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეთათვის მატერიალური დახმარების გასაწევად, მათ გასაჯანსაღებლად, კულტურულ ღონისძიებათა ჩასატარებლად და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ხარჯების გასაწევად.

საყოველთაო სწავლების ფონდის დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 39. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული მშობელთა კომიტეტები

ბავშვებისა და მოზარდების კომუნისტურ აღზრდაში სკოლისა და ოჯახისათვის ხელის შეწყობის, ახალგაზრდობის ზოგადი საშუალო განათლების განხორციელების და ცნობრების, შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის მისი მომზადების მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან იქმნება საერთო სასკოლო და კლასის მშობელთა კომიტეტები.

მუხლი 40. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ცალკეული სახეობანი. სკოლა-ინტერნატები, სკოლებთან არსებული ინტერნატები. საბავშვო სახლები

საზოგადოებრივი აღზრდის გაფართოების, მოსწავლეთა ყოველმხრივი განვითარებისათვის უფრო ხელშემწყობი პირობების შექმნის, აგრეთვე ოჯახისათვის ბავშვების აღზრდაში დახმარების მიზნით. დადგენილი წესით, სასწავლო-მატერიალური ბაზის არსებობის შემთხვევაში იქმნება გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ან გახანგრძლივებული დღის ჯგუფები, ცალკეული სასწავლო საგნების. ცოდნის დარგების, ხელოვნებისა და სპორტის სახეობათა გაღრმავებული შესწავლის სკოლები და კლასები, სკოლა-საბავშვო ბაღები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატები, სკოლასთან არსებული ინტერნატები.



ობოლი ბავშვები, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული
შეები და მოზარდები იზრდებიან მათთვის მოწყობილ საბავშვო
ლებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში და იმყო-
ფებიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე.

ბავშვებისა და მოზარდებისათვის, რომელთაც ხანგრძლივი მკურ-
ნალობა ესაჭიროებათ, იხსნება ზოგადსაგანმანათლებლო გამაჯანსა-
ღებელი სანატორიულ-სატიყო სკოლები, სანატორიული სკოლა-ინ-
ტერნატები, სანატორიული საბავშვო სახლები. ასეთ ბავშვებსა და მო-
ზარდებს, სასწავლო მეცადინეობა უტარდებათ აგრეთვე საავადმყო-
ფებში, სანატორიუმებში და შინ.

ბავშვებისა და მოზარდებისათვის, რომლებსაც აქვთ ფიზიკური
ან გონებრივი განვითარების ნაკლი, რაც ხელს უშლის მათ ისწავლონ
ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, აგრეთვე იმათთვის,
ვისაც ესაჭიროება აღზრდის განსაკუთრებული პირობები, იხსნება
სპეციალური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სკოლა-ინტერნატები
და საბავშვო სახლები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ბავშვთა და
მოზარდთა სწავლებას, აღზრდას, მკურნალობასა და მომზადებას სა-
ზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის.

**მუხლი 41. სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო
სახლებში მიღების წესი**

სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად ბავშვებსა და მო-
ზარდებს სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში მიიღებენ სსრ
კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

**მუხლი 42. შეფობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და
საბავშვო სახლებზე**

სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები,
კოლმეურნეობები, სხვა კოოპერაციული, პროფკავშირული, კომკავში-
რული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები შეფობას უწყვეტ
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სკოლა-ინტერნატებსა და საბავ-
შვო სახლებს. დადგენილი წესით ისინი ეხმარებიან მათ მატერიალური
ბაზის განმტკიცებაში, სხვადასხვა კლასგარეშე და სკოლისგარეშე
ღონისძიებათა ჩატარებაში, შრომითი და დასვენების ბანაკების მო-
წყობაში, ხელს უწყობენ მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პრო-
ფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებაში.

**მუხლი 43. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები
მომუშავე ახალგაზრდობისათვის**

სახალხო მეურნეობაში მომუშავე პირთათვის, რომლებსაც არა
აქვთ საშუალო განათლება, იხსნება საშუალო ზოგადსაგანმანათლებ-

ლო საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლები, აგრეთვე გამო-
იყენება ზოგადი საშუალო განათლების მიღების ექსტერნატული
ფორმა.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, მათი თან-
თი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოვალე არიან
სული შეუწყონ მომუშავე ახალგაზრდობის ჩაბმას საღამოს (ცვლიან)
და დაუსწრებელ სკოლებში, შექმნან ამ სკოლების ნორმალური საქ-
მიანობისა და მოსწავლეთა მეცადინეობის, სწავლასთან მუშაობის
შეთავსებისათვის საჭირო პირობები.

**მუხლი 44. სპეციალური საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლები სახალხო მეურნეობაში მომუშავე და
საშუალო განათლების არმქონე პირთათვის**

სახალხო მეურნეობაში მომუშავე, მხედველობა--სმენა--და მეტყვე-
ლებამოშლილ პირთათვის იხსნება სპეციალური ზოგადსაგანმანათლებ-
ლო საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლები ან სპეციალური
კლასები მომუშავე ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ საშუალო ზო-
გადსაგანმანათლებლო სკოლებში.

მუხლი 45. არასრული საშუალო განათლების მოწმობა

არასრული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამ-
თავრებულებს ეძლევათ არასრული საშუალო განათლების მოწმობა,
ხოლო იმათ, ვინც წარმატებებს მიაღწია სწავლაში და ამავე დროს
სანიმუშო ყოფაქცევისა არიან, — წარჩინების მოწმობა.

არასრული საშუალო განათლების მოწმობა იძლევა საშუალო ზო-
გადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის გაგრძელების, საშუალო
პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ან საშუალო სპეციალურ სას-
წავლებელში შესვლის უფლებას.

**მუხლი 46. ზოგადი საშუალო განათლების ატესტატი და
პროფესიის მიხედვით კვალიფიკაციის მინიჭების
მოწმობა**

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებუ-
ლებს ეძლევათ ზოგადი საშუალო განათლების ატესტატი. ხოლო იმათ,
ვინც სკოლაში სწავლის პერიოდში დაეუფლა გარკვეულ პროფესიას,
დადგენილი წესით ეძლევათ აგრეთვე მოწმობა პროფესიის მიხედ-
ვით კვალიფიკაციის (თანრიგის, კლასის, კატეგორიის) მინიჭების შე-
სახებ.

მუხლი 47. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის
კურსდამთავრებულთა დაჯილდოება ოქროსა
და ვერცხლის მედლებით და ქების სიგელით



საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულებს, რომელთაც განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს სწავლასა და შრომაში და ამავე დროს სანიმუშო ყოფაქცევის არიან, აჯილდოებენ ოქროსა და ვერცხლის მედლებით, ხოლო მათ, ვინც განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია ცალკეული საგნების შესწავლაში — ქების სიგელით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად დებულებას ოქროსა და ვერცხლის მედლების შესახებ ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, ხოლო დებულებას ქების სიგელის შესახებ — სსრ კავშირის განათლების სამინისტრო.

კ ა რ ი V

პროფესიულ-ტექნიკური განათლება

მუხლი 48. საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები

ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური განათლება ხორციელდება ერთიანი ტიპის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში — საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც უზრუნველყოფენ კვალიფიციურ მუშათა კადრების გეგმაზომიერ მომზადებას.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის პრინციპების ერთიანობა, ზოგადი საშუალო განათლების თავისი საფუძვლით ერთიანი შინაარსი და ერთიანი დონე, ერთიანი მოთხოვნები კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებისადმი.

საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთა განათლებისა და შრომითი მომზადების დონის, მათ მიერ მისაღები პროფესიების სირთულის გათვალისწინებით წესდება სწავლების დიფერენცირებული ვადები, იხსნება შესაბამისი განყოფილებები და ჯგუფები.

სწავლება საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში /
ხორციელდება დღისა და საღამოს ფორმებით.



მუხლი 49. საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დებულება

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებზე შესაბამისად საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დებულების საფუძველზე.

მუხლი 50. საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა მთავარი ამოცანები

საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა მთავარი ამოცანებია:

სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად სახალხო მეურნეობისათვის ტექნიკურად განათლებული ახალგაზრდა კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადება, რომლებსაც აქვთ თანამედროვე ეკონომიკური აზროვნება, მეცნიერებათა საფუძვლების, წარმოების, თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის ღრმა და მყარი ცოდნა, მაღალი პროფესიული ოსტატობა, უნარი შესწევთ წარმატებით აითვისონ ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მათ შექმნაში;

ახალგაზრდობის პროფესიული და ზოგადი საშუალო განათლების განხორციელება;

მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, მათთვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, კომუნისტური რწმენის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის, ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების სწორი გაგების უნარის გამომუშავება;

მომავალი ახალგაზრდა მუშების აღზრდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ წევრებად, თავიანთი ქვეყნის მზრუნველ პატრონებად, მუშათა კლასისათვის დამახასიათებელი რევოლუციური იდეოლოგიით, მორალით, ინტერესებით, კოლექტივისტური ფსიქოლოგიით, მაღალი ზნეობრივი თვისებებით, შრომის, ქცევისა და ყოფა-ცხოვრების კულტურით;



სოციალისტური საკუთრების, ბუნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების აღზრდა;

მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდა, მათთვის საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის გამომუშავება, მათი დაცვის აუცილებლობის შეგნების ჩამოყალიბება;

ესთეტიკური აღზრდა, ცხოვრებაში, შრომასა და ხელოვნებაში მშვენიერების შექმნაში მონაწილეობის მოთხოვნილებისა და უნარის განვითარება;

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა, ჯანმრთელობის გააყემა.

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, ახორციელებენ რა მათზე დაკისრებულ ამოცანებს, უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას.

მუხლი №1. არასასწავლო მუშაობა საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში

საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ეწყობა ფაქულტატიური მეცადინეობანი, იქმნება გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოებისა და სხვა ნებაყოფლობით საზოგადოებათა პირველადი ორგანიზაციები, წრეები, სექციები, სტუდიები, მუზეუმები, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, კლუბები, აგრეთვე გამოიყენება არასასწავლო მუშაობის სხვა ფორმები. კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები, შემოქმედებითი კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივები, კულტურის, სპორტის დაწესებულებანი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აქტიურად მონაწილეობენ არასასწავლო მუშაობაში, რომელიც ტარდება საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლებში.

მუხლი №2. საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და საბაზო საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულება

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები სპეციალდებიან სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგებისათვის კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადებაში და იქმნებიან დადგენილი წესით საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა ბაზაზე; საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს შეუძლიათ თავიანთი მუშაობა ჩაატარონ აგრეთვე შესაბამის დაწესებულებათა ბაზაზე.



სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საშუალო სიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა ურთიერთდამოკიდებულებას საბაზო საწარმოებთან აწესრიგებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულება.

მუხლი 53. საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში შესვლის უფლება

საქართველოს სს რესპუბლიკაში საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში შესვლის უფლებით სარგებლობენ არასრული საშუალო ან ზოგადი საშუალო განათლების მქონე სსრ კავშირის მოქალაქენი.

საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიღება წარმოებს სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად.


მუხლი 54. საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკა

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკა კვალიფიციური მუშათა კადრების პროფესიული მომზადების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. საწარმოო პრაქტიკა ეწყობა მოწინავე საწარმოებში, გაერთიანებებში, ორგანიზაციებში, საამქროებში, უბნებსა და სამუშაო ადგილებზე, რომლებიც აღჭურვილი არიან თანამედროვე ტექნიკით, სადაც დანერგილია პროგრესული ტექნოლოგია და შრომის ორგანიზაციის მაღალი დონე.

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის დებულების შესაბამისად, რომელსაც დადგენილი წესით ამტკიცებს სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

მუხლი 55. კვალიფიკაციის მინიჭება, დიპლომისა და ატესტატის გაცემა

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, რომლებმაც ამ სასწავლებლებში ან იქ შესვლამდე მიიღეს ზოგადი საშუალო განათლება, ეძლევათ შესაბამისად დიპლომი პროფესიის მიხედვით კვალიფიკაციის (თანრიგის, კლასის, კატეგორიის) მინიჭებისა და ზოგადი საშუალო განათლების მიღების შე-



სახებ ან დიპლომი პროფესიის მიხედვით კვალიფიკაციის (თანრივის, კლასის, კატეგორიის) მინიჭების შესახებ, ხოლო განსაკუთრებით თავგამოჩენილებს — წარჩინების დიპლომი.

პირებს, რომლებმაც რაიმე მიზეზით ვერ მიიღეს ზოგადი საშუალო განათლება საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ან იქ შესვლამდე, ეძლევათ ატესტატი პროფესიის მიხედვით კვალიფიკაციის (თანრივის, კლასის, კატეგორიის) მინიჭების შესახებ, ხოლო განსაკუთრებით თავგამოჩენილებს — წარჩინების ატესტატი.

მუხლი 56. მომუშავე ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური განათლება. პროფესიული სწავლება წარმოებაში

პროფესიულ-ტექნიკური განათლება პირებისა, რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობაში და სურთ მიიღონ ახალი მუშის პროფესია ან აიმაღლონ კვალიფიკაცია. და ახალგაზრდებისა, რომლებიც წარმოებაში მიდიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დამთავრების შემდეგ, მაგრამ არა აქვთ პროფესია, ხორციელდება საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში საღამოს (ცვლიანი) სწავლების ფორმით.

ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირთა პროფესიული სწავლება წარმოებს კურსებზე, სასწავლო-საკურსო კომბინატებში და წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების სხვა ფორმებით, აგრეთვე შეიძლება მოეწყოს საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა ბაზაზე. იმ პირებს, რომლებმაც გაიარეს პროფესიული სწავლება წარმოებაში და ჩააბარეს საკვალიფიკაციო გამოცდები, დადგენილი წესით ეძლევათ ერთიანი ფორმის მოწმობა პროფესიის მიხედვით კვალიფიკაციის (თანრივის, კლასის, კატეგორიის) მინიჭების შესახებ.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ქმნიან საჭირო პირობებს და სასწავლო-საწარმოო ბაზას წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლებისათვის და კონტროლს უწევენ მათ სწავლებას.

კ ბ რ ი VI

საშუალო სპეციალური განათლება

მუხლი. 57. საშუალო სპეციალური სასწავლებლები

საშუალო სპეციალურ განათლებას იღებენ ტექნიკუმებში, სასწავლებლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში, რომლებიც დადგენილი წესით საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს განეკუთვნებიან.



სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საშუალო სპეციალური სასწავლებლებში სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია სასწავლო-აღმზრდელიობითი პროცესის ორგანიზაციის პრინციპების ერთიანობა, ზოგადი საშუალო განათლების თავისი საფუძვლით ერთიანი შინაარსი და ერთიანი დონე, ერთიანი მოთხოვნები საშუალო სპეციალური განათლების კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადებისადმი.

სპეციალისტთა მომზადება საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ხორციელდება დღის, საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფორმებით.

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში განათლების დონისა და მისაღები სპეციალობის სირთულის გათვალისწინებით წესდება სწავლების დიფერენცირებული ვადები. იმ პირობების, რომელთაც დაამთავრეს საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები საშუალო სპეციალურ სასწავლებელში შესასწავლად არჩეული სპეციალობის შესაბამისი პროფესიის მიხედვით. შეიძლება დაწესდეს სწავლების შემცირებული ვადები.

მუხლი 58. საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა დებულება. საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა წესდება

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საშუალო სპეციალური სასწავლებლები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა დებულებისა და იმ წესდებათა საფუძველზე, რომელთაც აღნიშნული დებულების შესაბამისად შეიმუშავენს თითოეული საშუალო სპეციალური სასწავლებელი.

მუხლი 59. საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მთავარი დებულება. საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა წესდება

საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მთავარი ამოცანებია: სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად საშუალო სპეციალური განათლების კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადება, რომლებსაც აქვთ მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა და მყარი ცოდნა, თანამედროვე ეკონომიკური აზროვნება, საჭირო თეორიული მომზადება და პრაქტიკული ჩვევები სპეციალობაში, უნარი შესწევთ მონაწილეობა მიიღონ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნისა და გამოყენებაში, შეუძლიათ იმუ-

შონ ელექტრონულ-გამოთვლით ტექნიკასთან, დაუფლებული წარმოების პირველადი რგოლების მართვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ჩვევებს;

ახალგაზრდობის პროფესიული და ზოგადი საშუალო განათლების განხორციელება;

მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, მათთვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, კომუნისტური რწმენის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის, ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების სწორი გაგების უნარის გამომუშავება;

მაღალზნობრივი თვისებების, პასუხისმგებლობის, ორგანიზებულობის, დისციპლინის, შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების, ჰუმანიზმის, ამხანაგობისა და კოლექტივიზმის, ქცევისა და ყოფა-ცხოვრების კულტურის, სოციალისტური საკუთრების, ისტორიისა და კულტურის ძეგლებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების აღზრდა; ეკოლოგიური აღზრდა;

მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდა, მათთვის საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის გამომუშავება, მათი დაცვის აუცილებლობის შეგნების ჩამოყალიბება;

ესთეტიკური აღზრდა, ცხოვრებაში, შრომასა და ხელოვნებაში მშვენიერების შექმნაში მონაწილეობის მოთხოვნილებისა და უნარის განვითარება;

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა, მათი ჯანმრთელობის გაკეთება. საშუალო სპეციალური სასწავლებლები, ახორციელებენ რა მათზე დაკისრებულ ამოცანებს, უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას.

მუხლი 60. არასასწავლო მუშაობა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ეწყობა ფაკულტატიური მეცადინეობანი, იქმნება ნებაყოფლობით საზოგადოებათა პირველადი ორგანიზაციები, წრეები, სექციები, სტუდიები, მუზეუმები, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, კლუბები, აგრეთვე გამოიყენება არასასწავლო მუშაობის სხვა ფორმები. კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები, შემოქმედებითი კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივები, კულტურის, სპორტის დაწესე-



ბუღალტერი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აქტიურად ჩაერთა
წილებენ არასასწავლო მუშაობაში.

**მუხლი 61. საშუალო სპეციალური სასწავლებლებში
შესვლის უფლება**

საქართველოს სს რესპუბლიკაში საშუალო სპეციალურ სასწავ-
ლებლებში შესვლის უფლებით სარგებლობენ არასრული საშუალო
ან საშუალო განათლების მქონე სსრ კავშირის მოქალაქენი.
საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღება წარმოებს სსრ
კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინის-
ტროს მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად.

**მუხლი 62. საშუალო სპეციალური სასწავლებლების
მოსწავლეთა პრაქტიკა**

საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა პრაქტიკა
სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი
ნაწილია. პრაქტიკის დროს მოსწავლეები იძენენ სპეციალისტიზად
მუშაობის ჩვევებს, ხოლო ტექნიკურ, სასოფლო-სამეურნეო და სხვა
სპეციალობებში, გარდა ამისა, — ერთ-ერთ მუშურ პროფესიას, რომ-
ლის მიხედვითაც კვალიფიკაცია (თანრივი, კლასი, კატეგორია) ენი-
ჭებათ დადგენილი წესით.

პრაქტიკა ხორციელდება საშუალო სპეციალური სასწავლებლე-
ბის მოსწავლეთა პრაქტიკის დებულების შესაბამისად, რომელსაც
დადგენილი წესით ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო
სპეციალური განათლების სამინისტრო.

მუხლი 63. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს
ენიჭებათ კვალიფიკაცია მიღებული სპეციალობის შესაბამისად, ეძლე-
ვათ დიპლომი და დაწესებული ნიმუშის სამკერდე ნიშანი.

საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს,
რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს სწავლაში და თავი გამოიჩი-
ნეს საზოგადოებრივ მუშაობაში, ეძლევათ წარჩინების დიპლომი.

კ ა რ ი VII

უმაღლესი განათლება

მუხლი 64. უმაღლესი სასწავლებლები

უმაღლეს განათლებას იღებენ უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებ-
ში, აკადემიებში, ქარხანა-უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებსა და



სხვა სასწავლო დაწესებულებებში, რომლებიც დადგენილი წესით უნდა
 ნაკეთვნიან უმაღლეს სასწავლებლებს.

სპეციალისტთა მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში ხორცი-
 ელდება დღის, საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფორმებით.

უმაღლეს სასწავლებლებში შეიძლება დაწესდეს სწავლების შე-
 მცირებული ვადები საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურს-
 დამთავრებულთათვის იმ სპეციალობაში, რომელიც შეესაბამება უმაღ-
 ლეს სასწავლებელში შესასწავლად არჩეულ სპეციალობას.

**მუხლი 55. უმაღლეს სასწავლებელთა დებულება. უმაღლეს
 სასწავლებელთა წესდებანი**

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათ-
 ლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად უმაღლესი სას-
 წავლებლები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სსრ კავშირის მინის-
 ტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის უმაღლეს სასწავ-
 ლებელთა დებულებისა და იმ წესდებათა საფუძველზე, რომელთაც
 აღნიშნული დებულების შესაბამისად შემუშავებს თითოეული უმაღ-
 ლესი სასწავლებელი და დაამტკიცებს ის სამინისტრო, სახელმწიფო
 კომიტეტი ან უწყება, რომელსაც ექვემდებარება უმაღლესი სასწავ-
 ლებელი.

მუხლი 56. უმაღლეს სასწავლებელთა მთავარი ამოცანები

უმაღლეს სასწავლებელთა მთავარი ამოცანებია:

უმაღლესი განათლების მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მო-
 მზადება, რომლებიც დაუფლებული არიან მარქსისტულ-ლენინურ
 თეორიას, აქვთ ღრმა და მყარი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული
 ჩვევები სპეციალობაში, თანამედროვე ეკონომიკური აზროვნება,
 უნარი შესწევთ გამოიყენონ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის
 მიღწევები, მონაწილეობა მიიღონ სოციალურ-ეკონომიკური და მეც-
 ნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებათა შემუშა-
 ვებასა და განხორციელებაში, გასწიონ ორგანიზაციულ-მმართველო-
 ბითი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და აღმზრდელი მუშაობა:

სტუდენტთა აღზრდა კომუნისტური საზოგადოების იდეურად
 მტკიცე, მაღალი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი თვისებების აქტი-
 ურ მშენებლებად, კოლექტივისტებად, პატრიოტებად და ინტერნა-
 ციონალისტებად, რომლებიც მზად არიან დაიცვან სოციალისტური
 სამშობლო;

სწავლისა და შრომისადმი პასუხისმგებლური, შემოქმედებითი
 დამოკიდებულების, დისციპლინის, ორგანიზებულობის, მაღალი კულ-

ტურის, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების აღზრდა, ეკოლოგიური აღზრდა;

სამართლებრივი აღზრდა, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი, სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობებისადმი შეგნებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება;

მაღალი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება;

სტუდენტთა ფიზიკური აღზრდა, მათი ჯანმრთელობის გაკაჟება;

სტუდენტთა ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების უზრუნველყოფა;

სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლების, სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხელშემწყობ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შესრულება, აქტიური მონაწილეობა ამ სამუშაოთა შედეგების პრაქტიკულად დაწერგვაში;

სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;

უმაღლესი განათლების პედაგოგიურ მუშაკთა და სახალხო მეურნეობის სხვა სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება;

ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნა.

მუხლი 67. უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უფლება

საქართველოს სს რესპუბლიკაში უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უფლებით სარგებლობენ საშუალო განათლების მქონე სსრ კავშირის მოქალაქენი, მიუხედავად იმ სასწავლებლის ტიპისა, სადაც განათლება მიიღეს.

უმაღლეს სასწავლებლებში მიღება წარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად. უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთადმი წაყენებული მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს სასწავლებლებში განხორციელებული ზოგადი საშუალო განათლების შინაარსსა და დონეს.

მუხლი 68. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა პრაქტიკა და კურსდამთავრებულთა სტაჟირება

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა პრაქტიკა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და ხორციელდება უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა პრაქტიკის დებულების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

პრაქტიკული ჩვენების სრულყოფისათვის უმაღლეს სასწავლე-



ბელთა კურსდამთავრებულნი გადიან სტაჟირებას სპეციალობაში სახელმწიფო საბამის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით და უმაღლეს სასწავლებელთა კონტროლით.

მუხლი 69. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს ენიჭებათ კვალიფიკაცია მიღებული სპეციალობის შესაბამისად, ეძლევათ დიპლომი და დაწესებული ნიშნის სამკერდე ნიშანი.

უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს სწავლაში და თავი გამოიჩინეს სამეცნიერო და საზოგადოებრივ მუშაობაში, ეძლევათ წარჩინების დიპლომი.

მუხლი 70. სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება გეგმის საფუძველზე კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფაკულტეტებზე, სამინისტროებთან და უწყებებთან, მოწინავე საწარმოებთან, სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებთან არსებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, აგრეთვე სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით. სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას საერთო მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი განათლების სპეციალისტთა კადრების გადამზადება მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი პერსპექტიული მიმართულებებით წარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ ამ მიზნით უმაღლეს სასწავლებლებთან შექმნილ ფაკულტეტებზე.

კ ბ რ ი VIII

სკოლისგარეშე აღზრდა

მუხლი 71. არასასწავლო აღმზრდელიობითი მუშაობა

ბავშვებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, მრავალმხრივი ინტერესებისა და ნიჭის განვითარების, შრომითი და საზო-



გადღებრივი საქმიანობის ჩვევების, პროფესიული ორიენტაციის, მომუშავეების, დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის, ცოდნის მოთხოვნილების, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, ლიტერატურისადმი ინტერესის ჩანერგვის, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის, გონივრული დასვენება-გართობის ორგანიზაციის, ჯანმრთელობის გაკაყების მიზნით საქართველოს სს რესპუბლიკაში შეიქმნა და ვითარდება ფართოდ ხელმისაწვდომ სკოლისგარეშე დაწესებულებათა ქსელი, აგრეთვე ტარდება აღმზრდელი მუშაობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სკოლისგარეშე აღმზრდელი მუშაობას ეწევიან სკოლისგარეშე დაწესებულებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, საშუალო სპეციალურ, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან, ოჯახთან ერთად. სკოლისგარეშე აღმზრდელი მუშაობაში მონაწილეობენ სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, სხვა კოოპერაციული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, შემოქმედებითი კავშირები, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

მუხლი 72. სკოლისგარეშე დაწესებულებანი

სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, სხვა კოოპერაციული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები დადგენილი წესით ქმნიან პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებსა და სახლებს, საბავშვო და ახალგაზრდობის ბიბლიოთეკებს, კულტურის სასახლეებსა და სახლებს, სპორტის სასახლეებსა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ტექნიკის სახლებს, ნორჩ ტექნიკოსთა, ნატურალისტთა, ტურისტთა სადგურებსა და კლუბებს, საბავშვო რკინიგზებს, სპორტულ სკოლებს, პიონერთა ბანაკებს, შრომისა და დასვენების ბანაკებს და სხვა სკოლისგარეშე დაწესებულებებს.

იმ მიზნით, რომ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აღმზრდელი მუშაობა ფართოდ მოიცავდეს ბავშვებსა და ახალგაზრდობას, ვითარდება ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების მიხედვით კლუბების, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების წრეების, სპორტული სექციების ქსელი და გამოიყენება სკოლისგარეშე აღზრდის სხვა ფორმები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სკოლისგარეშე დაწესებულებათა ნომენკლატურა მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა კლუ-



ბების მუშაობის ორგანიზაციისა და მატერიალური უზრუნველყოფის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. ბავშვებისა და მოზარდებისათვის ხელოვნების სხვადასხვა სახეობების მიზანდასახულად სწავლების მიზნით დადგენილი წესით იქმნება სამუსიკო, სამხატვრო და სხვა სკოლები.

მუხლი 73. სკოლისგარეშე აღზრდისათვის მუშაობის ორგანიზაცია

სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ხელმძღვანელობენ კლასგარეშე აღზრდას, კოორდინაციას უწევენ სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობას, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა, სრულყოფენ სკოლის, როგორც მიკრორაიონში მოსწავლეებთან აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრის, საქმიანობას; იღებენ ზომებს სკოლისგარეშე აღზრდის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის, თითოეულ რაიონში, ქალაქში საქმიანობის სხვადასხვა მიმართულების სკოლისგარეშე დაწესებულებათა კომპლექსის შექმნის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სათამაშო და სპორტული მოედნების ორგანიზაციისათვის; საცხოვრებელ მასივებში გამოყოფენ სადგომებს ბავშვებთან და ახალგაზრდობასთან მუშაობისათვის და უზრუნველყოფენ მათ მოწყობილობით. ასეთი სადგომები გათვალისწინებულია საცხოვრებელი კვარტალების დაპროექტებისა და განაშენიანების დროს.

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კუთვნილი კლუბები, კულტურის სასახლეები და სახლები, სტადიონები, საცურაო აუზები, სპორტული დარბაზები და სპორტული მოედნები დადგენილი წესით გადაეცემათ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებს უფასო სარგებლობისათვის.


კ ა რ ი IX

მოსწავლეთა და სტუდენტთა უფლება-მოვალეობანი

მუხლი 74. მოსწავლეთა და სტუდენტთა უფლებანი

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად მოსწავლეები და სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან ყველა სახის უფასო განათლებით.

სწავლებისა და აღზრდისათვის რაც შეიძლება ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კავშირის



ნონმდებლობით მოსწავლეებსა და სტუდენტებს ენიჭებათ შესაბამისი უფლებები და შეღავათები.

მოსწავლეებსა და სტუდენტებს უფლება აქვთ უფასოდ ისარგებლონ სასწავლო კაბინეტებითა და ლაბორატორიებით, აუდიტორიებით, ბიბლიოთეკებითა და სამკითხველო დარბაზებით, სხვა სასწავლო და სასწავლო-დამხმარე შენობებით, კლუბებით, კულტურის სახლებით, სასწავლო-ადმინისტრაციული დაწესებულებათა სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტებით, სპორტული ბაზებითა და ნაგებობებით, სპორტულ ინვენტარითა და სასწავლებლების სხვა მოწყობილობით.

მოსწავლეები და სტუდენტები დადგენილი წესით უზრუნველყოფილი არიან სტიპენდიებით, დახმარებით, საერთო საცხოვრებლებით, ინტერნატებით, სამედიცინო დახმარებით სასწავლებლებში, სარგებლობენ ტრანსპორტით შეღავათებიანი ან უფასო მგზავრობის უფლებით და სხვა სახის მატერიალური დახმარებით. მოსწავლეებსა და სტუდენტებს, როგორც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ, აქვთ სამუშაო ადგილზე დამატებითი, შვებულების, შემცირებული სამუშაო კვირის უფლება და სხვა შეღავათები.

მოსწავლეთა და სტუდენტთა საწარმოო სწავლებისა და პრაქტიკის, საზოგადოებრივად სასარგებლო, ნაყოფიერი შრომის ორგანიზაციისას უზრუნველყოფილია შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები.

მოსწავლეები და სტუდენტები თავიანთი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით მონაწილეობენ სასწავლო პროცესის სრულყოფის, იდეურ-ადმინისტრაციული მუშაობის, საზოგადოებრივად სასარგებლო, ნაყოფიერი შრომისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზაციის, აკადემიური მოსწრების, დისციპლინის, სტიპენდიების დანიშვნის საკითხებისა და მოსწავლეთა და სტუდენტთა სწავლასთან, შრომასთან, ქცევის კულტურასთან, ყოფა-ცხოვრებასა და დასვენებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა განხილვაში და დადგენილი წესით ამ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებაშიც.

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები უზრუნველყოფილი არიან სამუშაოთი მიღებული პროფესიის (სპეციალობის) და კვალიფიკაციის შესაბამისად. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთ შრომით მოწყობაში ეხმარებიან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.



მოსწავლეთა და სტუდენტთა მოვალეობაა იყვნენ სოციალისტური სამშობლოს ღირსეული მოქალაქენი, იცოდნენ და დაიცვან სსრ კავშირის კონსტიტუცია, საქართველოს სსრ კონსტიტუცია, პატივი სცენ სსრ კავშირის გერბს, დროშასა და ჰიმნს, საქართველოს სსრ გერბს, დროშასა და ჰიმნს, თანამიმდევრულად გამოიმუშაონ კომუნისტური მრწამსი და მისი დაცვის უნარი, იყვნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური, შრომითი და საბრძოლო ტრადიციების ერთგულნი, აღზარდონ თავიანთ თავში ამხანაგობისა და კოლექტივიზმის გრძნობა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მოსწავლეები და სტუდენტები მოვალენი არიან:

სისტემატურად და ღრმად დაეუფლონ ცოდნასა და პრაქტიკულ ჩვევებს, განავითარონ თავიანთი ნიჭი, გამოიმუშაონ ცოდნის დამოუკიდებლად შევსებისა და პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარი.

მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივად სასარგებლო, ნაყოფიერ შრომაში, თვითმომსახურებაში, დაიცვან სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების შინაგანაწესი (მოსწავლეთა წესები), იყვნენ დისციპლინიანი და ორგანიზებული, ეწეოდნენ ჯანსაღ ცხოვრებას, აიმაღლონ თავიანთი კულტურული დონე;

გაუფრთხილდნენ და განამტკიცონ სოციალისტური საკუთრება, გაუფრთხილდნენ ბუნებას და დაიცვან მისი სიმდიდრენი, განუხრელად შეასრულონ საბჭოთა კანონები და პატივი სცენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, შეურიგებლად მოეკიდონ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებს;

გაიკაჟონ ჯანმრთელობა, მისდიონ ფიზიკურ კულტურას, მზად იყვნენ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

კ ა რ ი ა

პედაგოგიური კადრები. პედაგოგიური საქმიანობა. სახალხო განათლების მუშაკთა პროფესიული უზღვება-მოვალეობანი

მუხლი 76. პედაგოგიური საქმიანობა

საბავშვო სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში, სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში აღმზრდელებად, მასწავლებლებად, პე-



დაგოგებად, საწარმოო სწავლების ოსტატებად და სხვა პედაგოგიური (საინჟინრო-პედაგოგიურ, სამეცნიერო-პედაგოგიურ) მუშაკებად. მუშაკებთან უფლებიან პირობებში რომელთაც აქვთ შესაბამისი განათლება და პროფესიული მომზადება.

პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფის, შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისა და მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით სისტემატურად ტარდება საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების პედაგოგიურ მუშაკთა ატესტაცია.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საატესტაციო პედაგოგიურ მუშაკთა კატეგორიების ნუსხა განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.


უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის ვაკანტურ თანამდებობებს იკავებენ დადგენილი წესის შესაბამისად ჩატარებული კონკურსით და განსაზღვრული ვადით, რომლის გასვლის შემდეგ ამ პირებს ხელახლა ირჩევენ.

თუ აღმოჩნდა, რომ ის პირნი, რომლებიც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან, არ შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას არასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც ხელს უშლის პედაგოგიური და აღმზრდელობითი ფუნქციების შესრულებას, აგრეთვე თუ ისინი ჩაიდენენ ამორალურ საქციელს, რაც შეუთავსებელია პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელებასთან, ასეთი პირები თავისუფლდებიან პედაგოგიური სამუშაოდან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 77. პედაგოგიური კადრების მომზადება

სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებისათვის პედაგოგიურ კადრებს ამზადებენ უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებში, სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ცალკეულ სპეციალობათა მიხედვით კი — საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

პედაგოგიური კადრების მომზადების ამოცანაა უზრუნველყოს სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა მოთხოვნილებანი მაღალი დიფერული და პროფესიული დონის, მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობის, ზნეობრივი სისპეტაკის, ფართო ერუდიციისა და კულტურის პედაგოგიურ მუშაკებზე, რომელთაც შესწევთ უნარი სამაგალითო იყვნენ ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის, და რომ-



ლებიც მზად არიან სოციალიზმის სრულყოფის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პირობებში გადაწყვიტონ სახალხო მშენებლობის წინაშე მდგომი ამოცანები.

მუხლი 78. სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადება

სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადების ძირითადი ფორმაა ასპირანტურა, რომელიც იქმნება უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან. ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე სსრ კავშირის მოქალაქენი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ასპირანტურის დებულება მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 79. პედაგოგიურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება

პედაგოგიურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება ხდება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფაკულტეტებზე, მოწინავე საწარმოებთან არსებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, აგრეთვე სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და სხვა სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულებებისათვის ხელმძღვანელ პედაგოგიურ კადრებს ამზადებენ უმაღლესი განათლებისა და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების მქონე პირთაგან.

პედაგოგიურ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და გადამზადებლად, სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულებებისათვის ხელმძღვანელი პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად მუშაობის ორგანიზაცია ეკისრებათ სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მართვის შესაბამის ორგანოებს, აგრეთვე სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, რომელთაც ექვემდებარებიან სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულებანი.

მუხლი 80. პედაგოგიურ მუშაკთა პროფესიული უფლება-მოვალეობანი



პედაგოგიურ მუშაკთა პროფესიული უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებით, სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტებით, ამ კანონითა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის სხვა აქტებით, შესაბამის სასწავლო-აღმზრდელით დაწესებულებათა დებულებებით, აღნიშნულ დაწესებულებებში მოქმედი წესდებებით, შინაგანაწესებით (შრომითი შინაგანაწესებით), სხვა დებულებებითა და წესებით.

მასწავლებელთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა პროფესიულ უფლებებს, პატივსა და ღირსებას იცავს კანონი.


სახელმწიფო ორგანოები, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, აგრეთვე მოქალაქენი ყოველმხრივ ხელს უწყობენ მასწავლებელთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა როლის, ავტორიტეტისა და პრესტიჟის ამაღლებას.

მუხლი 81. სახალხო განათლების მუშაკთა შეღავათები და უპირატესობანი

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად სახალხო განათლების მუშაკები სარგებლობენ განხანგრძლივებული შვებულებით, რომელსაც სახელმწიფო ანაზღაურებს, სოფლად, მუშათა დაბებში (ქალაქის ტიპის დაბებში) მათ უფასოდ ეძლევათ საცხოვრებელი ფართობი გათბობითა და განათებით, ისინი სარგებლობენ უპირატესობით საცხოვრებელი ფართობის მიღების, საპენსიო უზრუნველყოფის დროს და სხვა შეღავათებითა და უპირატესობებით.

მუხლი 82. პედაგოგიური და სახალხო განათლების სხვა მუშაკების მიერ პროფესიულ მოვალეობათა შესრულებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა

საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სახალხო განათლების ორგანოები და დაწესებულებანი, სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები უზრუნველყოფენ, რომ პედაგოგიურ და სახალხო განათლების სხვა მუშაკებს ჰქონდეთ წარმატებით მუშაობისა და კვალიფიკაციის სის-



ტემატური ამბლები სავირო პირობები, ეძლეოდეთ კანონით დაწესებული შეღავათები და უპირატესობანი, იღებენ ზომებს პედაგოგიური კადრების დამკვიდრებისათვის; განუწყვეტლივ ზრუნავენ მათი შრომისა და სამუშაო დროის სწორად გამოყენებისათვის, რათა არ დაუშვან მათი მოცდენა უშუალო მოვალეობათა შესრულებისაგან, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, სამედიცინო უზრუნველყოფის, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და დასვენებისათვის.

მუხლი 83. სახალხო განათლების მუშაკთა წახალისება განსაკუთრებული დამსახურებისათვის

მოზარდი თაობის სწავლებასა და აღზრდაში, მუშათა კადრებისა და სპეციალისტთა მომზადებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის სახალხო განათლების მუშაკებს დადგენილი წესით წარადგენენ: სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად; სსრ კავშირის საპატიო წოდებათა და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა, აფხაზეთის ასსრ საპატიო წოდებათა და აჭარის ასსრ საპატიო წოდებათა მისანიჭებლად; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით; აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების საპატიო სიგელებით დასაჯილდოებლად; სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით სახალხო განათლების მუშაკთათვის დაწესებული სახელობითი მედლებით, წარჩინების მედლებითა და ნიშნებით დასაჯილდოებლად.

პ ა რ ი XI

მშობელთა და მათ შემცველ პირთა უფლებამოსილება და მათ შინაგანად მოვალეობა

მუხლი 84. მშობელთა და მათ შემცველ პირთა უფლებანი

